ნოდარ არონიშიძე

„მშვიდობის“ პროპაგანდისტული ბანერები“ _ ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი[1]

ქვეყნის მასშტაბით არაერთ ქალაქში, ასევე სოციალურ ქსელებში, ბოლო რამდენიმე დღეა გამოჩნდა „პოლიტიკური შინაარსის“ პროპაგანდისტული ბანერები, რომელთა ზოგადი კონცეფცია წარმომდგენის მხრიდან ასე ფორმულირდება _ „არა ომს, აირჩიე მშვიდობა“.[2] ღია სივრცეში, ქალაქის ქუჩებში, მეტროსადგურებში, ვაგონებში, ქალაქის თითქმის ყველა მუნიციპალურ ტრანსპორტსა და გაჩერებაზე დატანილი ეს გამოსახულებები ბოლოდროინდელი აქტიური პროპაგანდის ვიზუალური დასურათხატებაა.[3]ხსენებული „პოლიტიკური“ ლოზუნგიც და მისი შესაფერისი ვიზუალური გამოსახულებებიც დიდწილად დაკავშირებულია უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებულ ომთან და საქართველოს პოლიტიკურ კურსთან, ამ ფრიად მძიმე გეოპოლიტიკურ დროსა და ვითარებაში.

ვიდრე უშუალოდ ხსენებული ბანერების ვიზუალური ნაწილისა და მის მიღმა ამოკითხვადი ცნობიერი თუ ქვეშეცნეული, რაციონალური თუ ირაციონალური „შიშების“ რაობაზე ვისაუბრებთ, უთუოდ უნდა მოინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი დებულება, როგორც მოცემულობა:

1. ქართული საზოგადოების 83% ოფიციალურად უჭერს მხარს საქართველოს ევრო-ატლანტიკური განვითარების კურსს და მისი ეს არჩევანი განმტკიცებულია კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერით.
2. რუსეთი ოკუპანტია, რომელსაც მიტაცებული აქვს საქართველოს ტერიტორიების 20% და ეს ფაქტი აღიარებულია მთელი ცივილიზებული სამყაროს მიერ _ მათ შორის აღსანიშნავია სტრასბურგისა და ჰააგის სასამართლოთა ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, სადაც რუსული მხარის დანაშაულები საქართველოს წინაშე მკაფიოდაა გამოკვეთილი.
3. რუსეთი მთელი მსოფლიოსთვის არა ნაკლები საფრთხის მატარებელი და უბედურების მომტანია (თუ უფრო მეტის არა), ვიდრე ტერორიზმი და ამ ფაქტის ნათელი დადასტურებაა 2022 წლის 24 თებერვლიდან მისი სრულებით უკანონო შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე.

დასახელებული „დებულებების“ გათვალისწინებით, კიდევ უფრო მკაფიოდ იკითხება „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ მიერ წარმოებული, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში წარმოდგენილი,

---

[1] გვსურს აღვნიშნოთ, რომ მოცემული წერილი არ გახლავთ სამეცნიერო დარგობრივი ანალიზი, რომელიც ამ ტიპის ვიზუალური გამოსახულებების სპეციალისტთა პრეროგატივაა _ ესაა მცდელობა ე. წ. „მშვიდობის ბანერების“ რამდენიმე კონტექსტის წარმოჩენისა, რაც, ცხადია, დამოუკიდებელი, საგანგებო კვლევისა და ანალიზის საგანია.

[2] თავისთავად იმ ტიპის პროპაგანდა, რომ ვინმეს სურს საქართველოს ომში ჩათრევა _ აბსურდულია. ის ხელოვნურად შეიმუშავეს და აქვს მკაფიო მიზანი _ ქართული საზოგადოების დეზორიენტირება, მრავალსაუკუნოვანი, ისტორიული არჩევანის უგულებელყოფა და ამ მიზნის სისწორესა თუ მნიშვნელოვნებაში აშკარა ეჭვის შეტანა. ამ მავნე პროპაგანდის ფარგლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდიდან მთავარი, სტრატეგიული პარტნიორები მტრებად ირაცხებიან, ხოლო ისტორიული მტერი _ მოყვრად.

[3] სწორედ ამ პროპაგანდის ფარგლებში გაჩნდა ტერმინი „გლობალური ომის პარტიაც“.

პროპაგანდისტული ბანერების „ჭეშმარიტი სათქმელი“, რომელსაც ჩვენ პირობითად „მშვიდობის ბანერები“ ვუწოდეთ. მოკლედ უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ბანერების თემატიკა (და არა შინაარსი) მრავალფეროვანია და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ქალაქი და საქალაქო ინფრასტრუქტურა, განათლება, კულტურა და ხელოვნება, ჯანდაცვა, სპორტი და, რაც ჩვენი წერილის მთავარ ორიენტირს წარმოადგენს, რელიგია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, თუ სტილის თვალსაზრისით რა აერთიანებს სხვადასხვა შინაარსის მქონე „მშვიდობის ბანერების“. ჩვენ ვხედავთ მართკუთხედში მოქცეულ ერთიან ბანერს, რომლის ზედაპირიც ორ თანაბარ ნაწილად არის გაყოფილი. ყველა მათგანის მარცხენა მხარეს წარმოდგენილია შავ-თეთრი ფოტო, რომელიც ასახავს ომში მყოფი და მისგან დაზარალებული უკრაინის ამა თუ იმ ნაგებობას _ გამომდინარე თვით ბანერის შინაარსიდან. მარჯვენა მხარეს კი, ყველა მათგანზე, ასახულია ფერადი ფოტო საქართველოს სხვადასხვა შენობა-ნაგებობისა _ ცხადია, ამ შემთხვევაშიც თემატიკის შესაბამისად. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ ორად გაყოფილ ერთიან სასურათე ზედაპირს, რომელთა შორის ლაქობრივად დატანილი ერთგვარი „განახევი“ ეფექტი აძლიერებს მათ შორის არსებული ოპოზიციურობის ხარისხს. აქვე იმ მკაფიო ნიშნის შესახებაც უნდა ითქვას, რომელიც ბანერების ზედა კუთხეებში ციფრების სახითაა წარმოდგენილი და ერთ, საქართველოს, მხარეს ასახულია ნომერი 41[4], რომლის წინაც შემოხაზული წრეა, ხოლო სურათის მეორე, მარცხენა ნაწილში, სადაც უკრაინის განადგურებული შენობებია ნაჩვენები, საათის ისრის მიმართულებით, ასახულია შემდეგი ნომრები: 4, 5, 25, 9[5].

თვალსაჩინოებისთვის _ ერთ-ერთ პლაკატზე მარცხნივ, შავ-თეთრი სახით, გამოსახულია დანგრეულ-დაზიანებული მარიუპოლის თეატრი, მარჯვნივ კი „ქართუ ფონდის“ მიერ რეაბილიტირებული სენაკის თეატრი; ამავე პრინციპით, მარცხნივ დანგრეული და რუსეთის აგრესიის შედეგად განადგურებული საავადმყოფო, ხოლო მარჯვნივ გარემონტებული ქართული საავადმყოფო _ დანგრეული სკოლა, სტადიონი, გზები, სპორტული დარბაზები, საცურაო აუზები _ „აყვავებული“ და „მშვიდობიანი“ საქართველოს საპირწონედ და ა. შ. ერთ-ერთი მკაფიოდ დამცინავი, დამამცირებელი და მრავლისმთქმელი ბანერი გახლავთ მარცხენა მხარეს გამოსახული დონეცკის ოლქის სოფელ ბოგოროდიჩნეში დანგრეული ეკლესია, მარჯვნივ კი _ თბილისის სამების ტაძარი.

---

[4] ეს, ცხადია, „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო ნომერია, რომლის წინ არსებული, გასაფერადებელი წრეც ირიბად მიანიშნებს, ახალი საარჩევნო სისტემის მიხედვით, სასურველი კანდიდატისთვის ხმის მიცემის პროცედურას, ხოლო აღნიშნულ შემთხვევაში ამოსარჩევი კანდიდატურის ერთადერთ შესაძლო სწორ ვარიანტს.

[5] წარმოდგენილი ნუმერაცია ქართული პოლიტიკური პარტიების ოპოზიციური ფლანგის საარჩევნო ნომრებია შემდეგი თანმიმდევრობით: 4 _ „კოალიცია ცვლილებისთვის“, 5 _ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 25 _ „გახარია საქართველოსთვის“, 9 _ „ძლიერი საქართველო _ ლელო ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“. აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ირიბი მანიპულირების ხერხი აქაც გამოყენებულია და ყველა ეს ნომერი, ერთი მხრივ, საგანგებოდაა წითელ წრეში მოქცეული, რაც აქცენტირებს საზოგადოების ცნობიერებაში არსებულ ამკრძალავ ნიშანზე, ხოლო მეორე მხრივ, ყველა ეს ნომერი ასევე წითელი დიაგონალებითაა გადახაზული. ბანერების დამკვეთ-შემსრულებელთა „პოლიტიკური“ დღის წესრიგისა და ნარატივის აშკარა მათვალსაჩინოებელია ისიც, რომ ყველა ეს ნომერი ისრების მანიშნებლებით ერთმანეთთანაა დაკავშირებული _ ეს კი, ხსენებული ნარატივის კონტექსტში წარმოგვიდგება, როგორც „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“ = „გლობალური ომის პარტიას“.

აქ მნიშვნელოვანია, რომ „მართლმადიდებელი რუსეთის“ მიერ მართლმადიდებელი უკრაინის ეკლესიის განადგურების ფაქტი ამავე რელიგიის აღმსარებელი საქართველოს მხრიდან წარმოდგენილია სრულებით უკრიტიკოდ _ მეტიც, აქ ჩანს დამამცირებელი და მკრეხელური დამოკიდებულების აშკარა ნიშნები. პროპაგანდისტული „მესიჯის“ გამძაფრების მიზნით საგანგებოდაა შერჩეული გამოსახულ ეკლესიათა წარმოჩენის რაკურსი _ ქვემოდან ზემოთ ხედვის პანორამა, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს უკრაინული ეკლესიის დაზიანების ხარისხს და მის მძიმე მდგომარეობას _ ამის საპირისპიროდ კი უფრო დიდებულსა და მონუმენტურს წარმოაჩენს სამების ეკლესიას[6]. ამავე ტიპის ვიზუალური მანიპულირების საშუალებად გამოყენებულია ბანერების შავ-თეთრი და ფერადი ეფექტების დაპირისპირება. წარმოდგენილი გამოსახულება თუ გამოსახულებები აგებულია უკიდურესობების პრინციპზე, სადაც ნაჩვენებია (ყოველ შემთხვევაში აშკარაა ამის მცდელობა), უკიდურესად მძიმე, რთული, საშინელი რეალობა უკრაინისა _ ლამაზი, აშენებული თუ „მშვიდობიანი“[7] საქართველოს საპირწონედ.

ამრიგად, პროპაგანდისტული ბანერების უბანალურესი შინაარსი _ „არა ომს, აირჩიე მშვიდობა“ _ ამავე ტიპის ვიზუალური გაფორმებით წარმოგვიდგება და ის გათვლილია ადამიანთა უმდაბლეს ინსტინქტზე, მის გაღვივებასა და გაღრმავებაზე _ შიშზე. მმართველი პარტიის მიერ შექმნილი მოდელირებული რეალობა და ბანერებზე დატანილი პასიური „მესიჯები“ ისეა ნაჩვენები, თითქოს „გლობალური ომის პარტია“, ანუ მთელი ცივილიზებული სამყარო, ცდილობს საქართველოს ომში ჩათრევას, მის განადგურებასა თუ დამონებას, რაც რამდენად ადეკვატურია _ მკითხველმა განსაჯოს.

მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა დამოუკიდებელი მსჯელობის თემა, ბანერების ფორმა, რომლის ანალიზის ფონზეც იკითხება მათი შინაარსის სამი შრე: ინფორმაცია, რომელსაც გამოსახულება მიზანმიმართულად და დაუფარავად გვაწვდის; ინფორმაცია, რომელიც ირიბად, „პასიური მესიჯის“ სახით იკითხება, ანუ იგულისხმება; ინფორმაცია, რომლის ამოკითხვასაც „წარმომდგენი“ არ გულისხმობდა, მაგრამ იკითხება, როგორც რეალური მოტივაცია.

---

[6] დამოუკიდებელი მსჯელობის თემაა, თუ რა არის „ქართული ოცნებისა“ და მისი პროპაგანდისტებისთვის თვით ეკლესიის ღირებულება, ქართული კულტურის გამომხატველი მონუმენტური არქიტექტურა. არა საქართველოს ისტორიის ფიზიკური და სულიერი „მემატიანე“ _ სვეტიცხოველი, არა გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო _ ბაგრატის ტაძარი, არა ალავერდი, ოშკი, ხახული, გელათი _ არამედ, „ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით აგებული სამების ეკლესია“ _ ის სწორედ ამდენად არის მათთვის მნიშვნელოვანი, მხოლოდ ამიტომ არის შერჩეული!

[7] საგულისხმოა და არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ **მშვიდობას** ყველა დროში და ყველგან თავისი ფასი აქვს _ ისევე როგორც **ომს!** ცნობილია და აღარაა სადავო, რომ რუსეთთან მშვიდობიანი თანამეზობლობის დამყარების **აუცილებელი,** მაგრამ **არასაკმარისი,** პირობა მისდამი სრული მორჩილებაა, მისი გეოპოლიტიკური დღისწესრიგის გატარება. ამასთანავე თუკი აგრესორის ნეოიმპერიალისტური ზრახვების ხარისხს გავითვალისწინებთ უკრაინაში, სადაც ის ყოველგვარი საერთაშორისო წესისა თუ ნორმის უგულებელყოფით შეიჭრა და აწარმოებს დამპყრობლურ, ტერორისტულ ომს _ რთული გამოსაცნობი არაა, ღირსეული ერის, თავისუფალი ხალხის რეაქცია და პოზიცია რა უნდა ყოფილიყო. უკრაინამ აირჩია თავდაცვა, მტრის წინააღმდეგ ბრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელი გოჯი მიწის დაცვის მიზნით.

ინფორმაცია, რომელსაც გამოსახულება მიზანმიმართულად და დაუფარავად გვაწვდის:

არსებული „ოპოზიციური“ გამოსახულებები პარტია „ქართული ოცნების“ ბოლო ერთი წლის პროპაგანდას მკაფიო გამოძახილია. ის „ამბობს“ _ „თუ მე არ ვიქნები ქვეყნის ხელისუფლებაში, თანაც საკონსტიტუციო უმრავლესობით, უთუოდ ომი დაიწყება“. სწორედ ამ პროპაგანდის გაძლიერებისა და გამძაფრების მიზნით წარმოდგენილია, ერთი მხრივ, „დაქცეულ-განადგურებული“ უკრაინა, ხოლო მეორე მხრივ, „აყვავებული, წარმატებული და მშვიდობიანი“ საქართველო.

ინფორმაცია, რომელიც ირიბად, „პასიური მესიჯის“ სახით იკითხება, ანუ იგულისხმება:

„კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც, მმართველი პარტიის იდეოლოგიური შეგონებით, იგივეა, რაც „გლობალური ომის პარტია“, ცდილობს, ბანერებზე წარმოდგენილი საქართველოს ეს „ნათელი, ფერადი, მშვიდობიანი“ აწმყო აქციოს იმ „შავ-თეთრ, დანგრეულ და განადგურებულ“ რეალობად, უკრაინელი ხალხი რომ იმყოფება.

ინფორმაცია, რომლის ამოკითხვასაც წარმომდგენი არ გულისხმობდა, თუმცა იკითხება:

ყველაზე უფრო მძიმე და სამარცხვინო ჩვენი ქვეყნისთვის სწორედ ამ ნაწილში თავჩენილი, ქართველი ერის მმართველი ძალის ჭეშმარიტი სახეა, რომელიც უპირველეს ყოვლისა დაქცეული, განადგურებული უკრაინის ჩვენებით საკუთარ ქვეცნობიერ სურვილსა და მოლოდინს გამოხატავს, რადგან ეს არაა რეალობა _ უკრაინა ომში მყოფი, ძლიერი და დაუმორჩილებელი ერია, მისი ეროვნული სახე ბევრად უფრო მკაფიო და ნათელია მთელი მსოფლიოსთვის ახლა, ვიდრე ეს ომის დაწყებამდე იყო. განადგურებული სახით წარმოდგენილი უკრაინა არ შეესაბამება რეალობას, რადგან ეს სურათები ასახავს კონკრეტული ქალაქების მდგომარეობას, რაც მკვეთრად განსხვავებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული ვითარებისგან. თუმცა, ამაზე უფრო სამარცხვინო და დანაშაულებრივი აქ ისაა, რომ „მშვიდობის ბანერები“ არსად წარმოგვიდგენს რუსეთის როლს _ უფრო მეტიც, უკრაინაში ომის გაჩაღებისა თუ მისი მიმდინარეობის მთავარ „მოქმედ პირებად“ ანუ დამნაშავეებად, ბანერებზე დატანილი ციფრების მიხედვით, „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“, უფრო კი მისი მასშტაბური სახე _ „გლობალური ომი პარტიაა“ _ გამოცხადებული, რაც ვფიქრობთ, რომ არა უბრალოდ უბადრუკი პროპაგანდისტული მანიპულაციაა, არამედ _ დანაშაული!

დასკვნის სახით უნდა წარმოვადგინოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის ანალიზის საფუძველზეც დგინდება, რომ ე. წ. „მშვიდობის ბანერების“ წარმომდგენი პარტიის ყველა დებულება, დაპირება, მიზანი, განხორციელებული საქმე და რიტორიკა ერთმანეთსაა აცდენილი.

ასე მაგალითად, ჩვენ ბოლო ერთი წელია აქტიურად შეგვაგონებენ, რომ „ევროპა“ და ამერიკა ცდილობს საქართველოს თვითმყოფადობის მოშლას, ტრადიციული ღირებულებების ნიველირებასა და უგულებელყოფას, სექსუალური უმცირესობებისადმი კონკრეტული მოთხოვნების გატარებას, მართლმადიდებელი ეკლესიის დაქცევას და მისი გავლენის შესუსტებას საკუთარ

მრევლზე, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, საკუთარი სახელმწიფოებრიობის დათმობას და ა. შ.[8]

ამის მიუხედავად კი, რეჟიმის ყველა ლიდერი, განსაკუთრებით „მთავარსარდლები“, საზოგადოებას გამუდმებით უმტკიცებენ, რომ მათი არჩევანი ევროპაა და ყველაფერს აკეთებენ ან კი გააკეთებენ, რათა საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი და დაიმკვიდროს ადგილი ამ „დიდ ოჯახში“.

ცხადია, ჩნდება კითხვა _ თუკი ასეთი ავის მომასწავებელია ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია, რომელიც გადაგვარებასა და მიწის პირისაგან აღგვას გვიქადის, როგორც ერს, სახელმწიფოსა თუ ქვეყანას, მაშინ რატომ ირჩევს ამ კურსს მმართველი ძალა, რატომ მიგვათრევს ამ უბედურებაში?!

ან მაგალითად, გამუდმებით „გვაამაყებენ“ ჩვენი ისტორიული წარსულით, მიგვითითებენ ჩვენს ისტორიულ გმირებზე, რომელთაც სისხლისა და სიცოცხლის ფასად შეინარჩუნეს სამშობლო,[9] გვესაუბრებიან ქართველი ერის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ღირებულებებსა თუ ფასეულობებზე და ა. შ.

ამის პარალელურად კი, თესენ ტოტალურ შიშს, ახდენენ საზოგადოების, ერის მიზანმიმართულ დემორალიზებას _ არარსებული, გამოგონილი, აბსურდული „ომის“ ანონსით. ქვეყანას, რომლის ისტორიაც რეალურად ომების ისტორიაა; ქვეყანას, რომელსაც გამუდმებით უხდებოდა მომხდური მტრის წინააღმდეგ თავის დაცვა და ამას არასდროს უშინდებოდა აგუებენ მონობას, მტრის მორჩილებას და ამას „მშვიდობის“ სახელით „ფუთავენ“. აქ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ომი არავის სურს. ის კატეგორიულად მიუღებელი და დაუშვებელია. თუმცა ომის შიშით დაჩიავებული, დამონებული და დამახინჯებული ერის ფსიქოტიპის ჩამოყალიბება და ამ ფაქტორის პროპაგანდის სამსახურში ჩაყენება _ დანაშაულია წარსულის, მომავლისა და, რაც მთავარია, აწმყოს წინაშე.

არსებული ვითარების გათვალისწინებით, რომელიც მმართველი პარტიის მიზანმიმართულ პოლიტიკასა და ნაწილობრივ, მის მიერვე შექმნილ, მოდელირებულ რეალობას წარმოადგენს, ჩვენ ვიმყოფებით 1780-იანი წლების დამდეგის, **„პრეგეორგიევსკური“** არჩევანის წინაშე, იმ მნიშვნელოვანი განსხვავებით, რომ სადღეისოდ ყველასთვის ცნობილია

---

[8] ამ ტიპის პროპაგანდისტული ვიდეორგოლები, გადაცემები თუ „დოკუმენტური“ ფილმები მრავლადაა სატელევიზო სივრცეში. ამას ემატება იმ ტიპის გადაცემებიც, სადაც ირიბად ცდილობენ, დამახინჯებული სახით წარმოგვიდგინონ ევროპული ქვეყნებისა თუ ამერიკის საზოგადოებრივი საწყისების დეჰუმანიზაცია, დესაკრალიზაცია თუ ღირებულებათა რღვევა, მისი მიზანმიმართული მოსპობა.

[9] ამისი ნათელი დასტურია, თუნდაც, თბილისის შემოსასვლელში მეფე ერეკლე II-ის ახალი ქანდაკების დადგმის სურვილი ხელისუფლების მხრიდან. ამ საკითხის საგანგებო ანალიზს არ შევეხებით _ ვიტყვით მხოლოდ, რომ საქართველოს ისტორიული წარსულის მნიშვნელოვნებაში ეჭვი არავის ეპარება, არც გმირების უდავო არსებობაში, მთავარი აქ ღირებულებათა მიზანმიმართული აღრევაა. ერეკლე II ქართული საზოგადოებისთვის, მეცნიერებისა თუ ისტორიისთვის იყო და დარჩება ბრძოლის ჟინის, მტრისადმი არშეგუების, ძლიერი მხედართმთავრისა და მებრძოლის სიმბოლოდ, რამდენიმე ათეული დიდი და მცირე ბრძოლა რომ აქვს გადახდილი. მათ შორის, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა სწორედ ქვეყნის დასავლური ორიენტაციის განსაზღვრის თვალსაზრისით, რომლის რეალური განხორციელებაც, სამწუხაროდ, ვერ შეძლო. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ერეკლე II-ის ფიგურა რთული და კომპლექსურია, რაც მანიპულირების საკმაოდ ფართო ასპარეზს იძლევა _ ამას კი შესანიშნავად იყენებდა საბჭოთა პროპაგანდა და არც დღეს ჩამოვრჩებით...

„პოსტგეორგიევსკური“ ორასწლიანი უბედურების შედეგები _ ეს რეალური პოლიტიკური მდგომარეობაა, რომელიც საგანგებო დღის წესრიგად „მავანმა“ აქცია, ხოლო ამ ვითარების მოდელირებულობა ისაა, რომ „როლები“ საგანგებოდაა შეცვლილი _ „მშვიდობის ბანერების“ შემოქმედთ აღა-მაჰმად ხანად წარმოდგენილი ჰყავთ დასავლეთი და ამერიკა, ხოლო მშვიდობის ერთადერთი გარანტი კვლავაც ჩრდილოელი მეზობელია.